ალექსანდრე დაუშვილი

დაშორება უფალთან – გზა სულიერი გადაგვარებისაკენ

ქრისტეს განკაცებამ სამყაროს მისცა ახალი პერსპექტივა და ახალი შესაძლებლობა თავი დაეღწია იმ პრობლემებისათვის, რაშიც ადამის საბედისწერო შეცდომის გამო აღმოჩნდა. სამყაროს მოევლინა ნათელი, რომელმაც ყველას უჩვენა გზა უფალთან დააახლოებისა. ქრისტიანულმა მოძღვრებამ მთლიანად განმსჭვალა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები და მთელი ევროპა, მან უდიდესი როლი შეასრულა თითოეული ამ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ფსიქოლოგიური აღორძინებისა და განვითარების საქმეში.

საქართველო ამ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა.

ჯერ კიდევ ძველად, წმინდა სტეფანე ათონელი თავის თხზულებაში ეხება ამ საკითხს და აღნიშნავს, რომ უფლის იესო ქრისტეს ზეცად ამაღლების ჟამს ღვთისმშობელი ქრისტეს მოწაფეებთან ერთად სიონის მთაზე იმყოფებოდა. როცა წილი ყარეს იმის გასაგებად, თუ ვინ რომელ ქვეყანაში უნდა წასულიყო საქადაგებლად. წილის ყრით ღვთისმშობელს ივერია (საქართველო) შეხვდა. მაგრამ მას ანგელოზი გამოეცხადა და უფლის ნება აუწყა „არ განშორებოდა იერუსალიმს“.[1]

სწორედ ამიტომ, რადგან მას თვითონ აღარ შეეძლო ივერიაში (საქართველოში) გამომგზავრება, თავისი ხელთუქმნელი ხატით აღჭურვა ანდრია პირველწოდებული და ის ქრისტიანობის საქადაგებლად საქართველოში გამოგზავნა.

ეს ფაქტი რომ სინამდვილეა, ამაზე მიუთითებენ როგორც ქართული და არაქართული (ბერნული, რუსული და სხვ.) წერილობითი წყაროები, ისე ჩვენი სამეცნიერო ცენტრის მიერ მოწყობილი ექსპედიციის შედეგები[2]. ჩატარებული 5 ექსპედიციის მუშაობის შეჯამებამ დაადასტურა, რომ ბერძნულ და ქართულ წერილობით წყაროებში ასახული ანდრია პირველწოდებულის მოგზაურობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ნამდვილად შედგა და ის აისახა საქართველოს ამ რეგიონების ტოპონიმიკაზე, დაფიქსირდა ეთნოგრაფიულ ყოფაში, ასახვა ჰპოვა ფოლკლორულ გადმოცემებში, ხალხურ ლეგენდებსა და თქმულებებში.

326 წელს საქართველოში ქრისტიანობა უკვე სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, ხოლო V საუკუნიდან საქართველოს ეკლესია დამოუკიდებელი გახდა, ანუ ავტოკეფალური. საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა არა ერთი საეპისკოპოსო, რომელთა წარმომადგენლები მონაწილეობდნენ მსოფლიო საეკლესიო კრებების მუშაობაში და აქტიურად განიხილავდნენ

საღვთისმეტყველო საკითხებს. სხვა მოწინავე ერებთან ერთად ქართველებმა ძალიან ადვილად მიიღეს და გაითავისეს მსოფლიო საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებები და არასოდეს არ უღალატიათ ერთხელ აღიარებული მრწამსისათვის. XI საუკუნის ათონის წმინდა მთლის დიდმა მოღვაწემ გიორგი მთაწმინდელმა ბრწინვალე დაუსაბუთა ანტიოქიის პატრიარქს ჭეშმარიტი სარწმუნოეისადმი ქართველთა ერთგულება.

მომავალშიც, ისტორიული წყაროებითა და საეკლესიო ტრადიციით, არ დასტურდება ორთოდოქსალური ქრისტიანობის ჭეშმარიტი აღმსარებლობისაგან ქართველების ოდნავი გადახვევაც კი. ეს ცხადყო XI საუკუნის ცნობილმა დისკუსიამ ბიზანტიის იმპერატორის სასახლეში, როცა ათონის წმინდა მთის დიდმა მოღვაწემ, გრიგოლ მთაწმინდელმა ბრწყინვალედ დაუსაბუთა ბერძენთა იმპერატორს ქართველების სარწმუნოებრივი მრწამსი.

საუკუნეების მანძილზე ქართველები იბრძოდნენ თავისუფლებისა და ქრისტიანობისათვის. ეს ბრძოლები კი გაუთავებლად გრძელდებოდა არაბებთან, მონღოლებთან, სპარსელებთან, ოსმალებთან. ყველა ცდილობდა ჭეშმარიტების გზიდან გადაეყვანათ ქართველები, რომ მათ შეეცვალათ სარწმუნოება, უარეყოთ ქრისტეს. საქართველოს დიდი მეფეები: ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, დიდი თამარი, გიორგი ბრწყინვალე ქართველ ხალხთან ერთად იბრძოდნენ ქრისტიანობის დასაცავად და თავისუფლებისათვის.

საუკუნეების მანძილზე იარაღით ხელში ჭეშმარიტი ქრისტიანობისათვის ბრძოლამ გამოაწრთო და შეუვალი გახადა, რელიგიური თვალსაზრისით, სრულიად საქართველო: მთელ კავკასიაში მოხდა ისე, რომ ქართველი – ქრისტიანობის სინონიმად იქცა.

საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან აშკარა ხდება, თუ როგორი აღმსარებლობით ცხოვრობდნენ ქართველები, ხოლო მისი წმინდანების წამებული ცხოვრებები მოწმობენ როგორ, იცავდნენ და უფრთხილდებოდნენ ქართველები ქრისტეს სარწმუნოებას. დამპყრობლები ქართველებისაგან სარწმუნოების შეცვლას ითხოვდნენ, ქართველები კი თავს სწირავდნენ ქრისტესათვის და ბოლომდე ემსახურებოდნენ მას. სწორედ ამის გამო მოხდა, რომ შუა საუკუნეებში რამდენიმე მილიონიანი ერი, საგრძნობლად შემცირდა რაოდენობით, მაგრამ მხნე დარჩა – სულიერებით.

ძლიერი და აგრესიული მეზობლების ინტერესს საქართველოს მიმართ მუდამ განაპირობებდა საქართველოს უმნიშვნელოვანესი გეოსტრატეგიული მდებარეობა – აქ გადიოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი დიდი არეშუმის გზა, სწორედ აქ უპირისპირდებოდა სხვადასხვა ქვეყნების ინტერესი ერთმანეთს. საქართველო აკონტროლებდა კავკასიის გადმოსასვლელ გზებს, საიდანაც შეიძლება ძლიერი ქრისტიანი ქვეყანა შემოსულიყო და დაპირისპირებოდა ქრისტეს მოძულეებს. ამიტომაც დამპყრობლები საქართველოში ქრისტიანობასთან ბრძოლას ქართველების გენოციდით ცდილობდნენ: XIII - XVIII საუკუნეები ეს მართლაც ჯვარცმული ქვეყანა

თითქმის განადგურებამდე მიიყვანეს ქრისტესა და ქრისტიანობის ერთგელებისათვის.

XVII საუკუნეში ირანის შაჰმა აბას I-მა ეს ოცნება თითქმის აუსრულა მაჰმადიანურ სამყაროს. მაგრამ ქართველებმა სასტიკად გაანადგურეს მტარვალის მრავალათასიანი ჯარი. განრისხებულმა შაჰმა დატყვევებულ ქართველ დედოფალს, ქეთევანს ქრისტიანობის უარყოფა და სპარსეთის დედოფლობა შესთავაზა, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ჯოჯოხეთური წამებით დაემუქრა. დედოფალმა არ გაცვალა არც სამშობლო და არც ქრისტიანობა. განრისხებულმა შაჰ-აბასმა ჯალათებს მიუგდო საჯიჯგნად უმშვენიერესი ქართველი მანდილოსანი, რომლის წამების მომსწრე პორტუგალიელი მღვდლები, ქართველი დედოფლის გმირობით მოხიბლულნი, სულ მალე მთელს პორტუგალიას მოჰფენენ ქართველი მანდილოსნის სულიერი ძლიერების ამბავს.

ქეთევანის წამება აისახა არა მარტო ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში, არამედ დასავლეთ ევროპის ბევრი მწერალი და დრამატურგი შეეხო ამ თემას. ჯერ კიდევ ბერძენი ბერი გრეგორიუსი პირველი შეასხამს ხოტბას გაუტეხელ ქართულ სულიერებას. იტალიელები დონ ქრისტეფორე დე კასტელი და არქანჯელო ლამბერტი გაოცებული და აღფრთოვანებული იყვნენ ქართველი დედოფლის გმირობით და ეს ასახეს თავის თხზულებებში, გერმანიაში დრამატურგი ანდრეას გრიფიუსი 1656 წელს დაწერს ტრაგედიას: „ქეთევან ქართველი ანუ გაუტეხელი სული“. უნგრეთში, სლოვაკეთში აღმოჩნდა ნაშრომები, რომლებშიც სწორედ ქეთევან წამებულის სულიერ გმირობაზეა საუბარი და ამ მაგალითს ადგილობრივი საეკლესიო მოღვაწენი იყენებდნენ მრევლში რელიგიური სულიერების განსამტკიცებლად[3].

სწორედ ასეთ და სხვა მსგავს მაგალითებზე იზრდებოდა ნებისმიერი ქართველი.

საქართველოში, უმძიმეს პირობებშიც კი, ქრისტიანობა, მისი ფასეულობები განსაზღვრავდნენ ქართველების ზნეობრივ კრიტერიუმებს, ქცევას, საზოგადოებრივ ურთიერთობებს, კულტურულ ღირებულებებს, სოციალურ პოლიტიკას, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ქართულ სახელმწიფოსთან ერთად, იდგა ქრისტიანობის სადარაჯოეზე, და ამასთან, იყო ქართული იდენტობის მარკერი და ქართველთა კონსოლიდაციის მტკიცე საფუძველი.

XVIII საუკუნის ბოლოს საქართველო განუწყვეტელი ომეის გამო სისხლიდან იცლებოდა, მოიშალა მეურნეობა, გაწყდა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი. მეფე ერეკლე II-მ დახმარეისათვის სთხოვა ქრისტიან რუსეთს. სამწუხაროდ გეორგიევსკის ტრაქტატის შედეგები მძიმე აღმოჩნდა საქართველოსათვის. რუსეთის იმპერიამ გააუქმნა სამეფო ტახტი საქართველოში და საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა.

საქართველოს ეკლესიას ჩამოერთვა ქონება, ეკლესიებში აიკრძალა ქართულად წირვა-ლოცვა, ქართული ტრადიციული გალობა, სასწავლებლებში იკრძალებოდა ქართულ ენაზე საუბარი[4].

სემინარიები და სასულიერო სასწავლებლები რუსეთის ეკლესიას საქართველოს ყველა რეგიონში ჰქონდა გახსნილი და ყველგან ძალადობასა და უსამართლობას ამკვიდრებდა. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ცნობილ ამერიკელ სოვეტოლოგს რ. ტაკერს, როცა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თბილისის სასულიერო სემინარია რევოლუციონერებს უფრო ბევრს ზრდიდა, ვიდრე ღვთისმსახურებს[5].

ეს განსაკუთრებით საცნაური გახდა მაშინ, როცა საქართველოში ათეისტური – სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება გავრცელდა. მარქსისტული შეხედულებები კეთილნაყოფიერ სივრცეს პოულობს მატერიალურად უაღრესად დამცრობილ სახელმწიფოში, როცა პიროვნებას განვითარების ბუნებრივი რიტმი დარღვეული იყო და გამოსავალს შრომაში კი არა, არამედ რადიკალურ სოციალურ გარდაქმნაში ეძებდნენ. ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ერთობლიობამ საქართველოში ათეიზმისათვის კარგი პირობები შეამზადა. თავიდანვე ქართველი სოციალ-დემოკრატები, როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე მიმართულებისა, ასრულებდნენ წამყვან ფუნქციას რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, იყვნენ მისი ლიდერები, თეორეტიკოსები და ა.შ.

ქართული ეკლესია სწორედ იმიტომ, რომ რუსეთის ეკლესიის შემადგენელი ნაწილი იყო, ძალიან იყო დასუსტებული და მრევლზე ზემოქმედების შესაძლებლობა მკვეთრად შემცირებული ჰქონდა. ამას ადასტურებს, როგორც XIX საუკუნის დიდი ქართველი მოღვაწე ილია ჭავჭავაძე[6], (რომელიც საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და ილია მართალი უწოდა) ისე ქართული საეკლესიო ისტორიოგრაფიაც[7].

მართალია, 1917 წლის მარტში მოხერხდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, მაგრამ 1918 წელს საქართველოში ხელისუფლებაში მოვიდნენ მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები („მენშევიკები“), რომლებიც, მართალია, კი განსხვავდებოდნენ „ბოლშევიკებისაგან“, მაგრამ ათეიზმი მათთვისაც ძირითადი იდეოლოგიური პრინციპი იყო. მათ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოს ეკლესიის მესვეურებთან. ამიტომაც აღნიშნავდა გულისტკივილით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე: „ჩვენი მთავრობა სოციალისტურია, პინციპულად ვერ ეგუება ეკლესიას. თანახმა ვარ, დიახაც ნუ შეეგუებიან ურთიერთს ეკლესია და სოციალისტები და დროზე გაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ აქაც სავალდებულოა სამართლიანობა და ჩვენც მარტო სამართლიან დაშორებას ვთხოულობთ სახელმწიფოსაგან, სხვა არაფერს“[8].

ბოლშევიკურმა ინტერვენციამ 1921 წელს დაანგრია საქართველოს პირველი რესპულიკა და ქვეყანაში სოციალიზმის რუსული მოდელი გააბატონა. ბოლშევიკების ათეიზმი – მებრძოლი, უკომპრომისო ათეიზმი იყო, რომლის მიზანს წარმოადგენდა რელიგიის ყველა ფორმის ნგრევა, სასულიერო წოდების ლიკვიდაცია, მოსახლეობის მარქსისტულ-ლენინური აღზრდა

რუსეთის ცარიზმის ხელში უკვე სერიოზულად დასუსტებული საქართველოს სამოციქულო ეკლესია აღმოჩნდა უმძიმესი გამოცდის წინაშე: . „ბოლშევიკები“ ანგრევდნენ ეკლესია-მონასტრებს, ფიზიკურად ანადგურებდნენ ღვთისმსახურებვს, უკრძალავდნენ მოსახლეობას საეკლესიო რიტუალებში მონაწილეობას

. მაგრამ ქართულმა ეკლესიამ მაინც უჩვენა საქართველოსა და მთელს მსოფლიოს სულიერი სიმტკიცის მაგალითი: კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ (ხელაია) 1922 წელს მსოფლიო თანამეგობრობას წერილით მიმართა ქართველი ერის სახელით და ითხოვა რუსეთის აგრესიის შეჩერება. განრისხებულმა ბოლშევიკებმა ერის სულიერი მამა ბოლშევიკებმა ციხეში გამოამწყვდიეს.

იმჟამად საბჭოთა ხელისუფლება რეპრესირებულთა ჩამორთმეული ქონების 25 პროცენტს უნაწილებდა ღარიბ-ღატაკ მოსახლეობას და ამით დამატებით ახალისებდა მათ.

ეკლესიისა და რელიგიის მსახურთა წინააღმდეგ ხშირად იმართებოდა ათეისტური ორგანიზებული აქციები. გაზეთები ბეჭდავდნენ რეპორტაჟებს ასეთი „ღონისძიებების“ შესახებ: „შობის წინა დღით, 6 იანვარს რუსთაველის თეატრში გაიმართა ჩვენი კავშირის საქალაქო კრება, რომლის შემდეგ კავშირის წევრები გამოვიდნენ ქუჩაში... ჩირაღდნებითა და დროშებით ხელში. დემონსტრაციამ მიზანს მიაღწია. არცერთი ახალგაზრდა იმ დღეს ეკლესიაში არ ყოფილა. დემონსტრანტებს მოჰქონდათ ჩირაღდნები წითელი ნაჭრებით, რომელზედაც ეწერა: „სარწმუნოება მეცნიერებისა და რევოლუციის მტერია“.[9]

მებრძოლი ათეიზმი საქართველოს რეგიონებსაც მოედო. ახალგაზრდა კომკავშირლები უპარტიო ათეისტებთან ერთად იგონებდნენ ახალ და ახალ ღონისძიებებს, ცდილობდნენ წერტილი დაესვათ რელიგიური აღმსარებლობისათვის. მაგალითად, ახალსენაკში საშობაოდ, როგორც დოკუმენტები მიუთითებენ, ახალგაზრდებმა „ააფეთქეს საგანგებოდ მოწყობილი „მამა ღმერთი“, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა“[10]. წმინდა ადგილზე – მოწამეთის მონასტერში ათეისტებმა გაანადგურეს ლავრა და გახსნეს წმინდნთა საფლავები. ბოდბის დედათა მონასტერში გახსნეს საავადმყოფო, ხოლო ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს საოპერაციო მაგიდად იყენებდნენ.

ასეთი ულმობლობის მიზეზს ჩინებულად წარმოაჩენს ცნობილი რუსი ფილოსლოფოსი ნ. ბერდიაევი, „მარქსიზმი არ არის მარტო მეცნიერება და პოლიტიკა, ის არის რწმენა, რელიგია“[11]. აქედან გამომდინარე, ამ ახალი „რელიგიის მშენებლები“ საოცრად ულმობლები იყვნენ განსაკუთრებით

ქრისტიანული რელიგიის წარმომადგენელთა მიმართ, რადგან საქართველოში ამ სარწმუნოებას აღიარებდა მოსახლეობის დიდი უმრავლესობა.

რუსი და ქართველი ბოლშევიკები მარქსიზმის არა მარტო ეკონომიკურ მოძღვრებას ნერგავდნენ საქართველოში, არამედ მარქსისტულ სულიერ ფასეულობებსაც. ამიტომ ისინი ვერ მოითმენდნენ „კონკურენტს“ მშრომელი მასების სულიერი აღზრდის საქმეში. კომუნისტური პრინციპებიდან გამომდინარე „მოძღვარი“ უნდა შეეცვალა „პარტიული კომიტეტის მდივანს“ - ის უნდა გამხდარიყო „სულიერი მამაც“, გზის მაჩვენებელიც, დამრიგებელიც და მეგობარ-ამხანაგიც. სწორედ ის და არა სხვა, უნდა ყოფილიყო პიროვნების მესაიდუმლე და ცხოვრების მასწავლებელი.

ამიტომაც კომუნისტებმა ეკლესიის მატერიალური და სულიერი სეკულარიზაციის პროცესის გაძლიერებასთან ერთად დაიწყეს საეკლესიო ტრადიციების ჩანაცვლება – ახალი ტრადიციებით. მაგალითად ცდილობდნენ დაენერგათ კომუნისტური „ნათლობები“, კომკავშირული ქორწინება, პროლეტარიატის საქმისადმი თავგანწირული „წმინდანების“ კულტი, კომუნისტებისათვის ძვირფასი მემორიალური ადგილების მონახულების ტრადიცია დ და ა.შ. არ შეიძლება არ შევამჩნიოთ, რომ კომუნისტებმა თავის პროპაგანდისტულ-აღმზრდელობით საქმიანობაში ბევრი რამ გადაიღეს ეკლესიის გამოცდილებიდან: მათ მოიგონეს საკუთარი „რწმენის სიმბოლოებიც“, კომუნისტური „ღვთაების“ კულტიც, კომუნისტური “წმნდანებიც და წმინდა ადგილები“ და ა.შ. ყველაფერი ამის მიზანი იყო – მოსახლეობის ძირითადი ნაწილის დაშორება უფლისაგან, მართლმადიდებელი ეკლესიის ფასეულობებისაგან. კომუნისტების აზრით მამა-პაპათა ტრადიციული რწმენა-წარმოდგენების ნაცვლად ახალი საბჭოური ტრადიციების დამკვიდრება გამოიწვევდა ქრისტიანული მრევლის გადაგვარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში ბოლშევიკებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. ეს ვლინდებოდა როგორც საქართველოში კომუნისტებისა და კომკავშირლების, თანამგრძნობ-მომხრეების რიცხვის სისტემატურ ზრდაში, ისე ათეისტური იდეოლოგიის განმტკიცებაში, ინტელიგენციის დიდი ნაწილის მიერ კომუნისტების მიმართ ლოიალურ დამოკიდებულების პოზიციის არჩევაში. სწორედ მაშინ დაიწყეს კომუნისტებმა მეცნიერების ხელოვნურად ჩამოშორება ეკლესიისაგან, რამაც საყოველთაო ხასიათი მიიღო. ეკლესია განდევნეს განათლების ყველა რგოლიდან – მეცნიერი არ შეიძლება მორწმუნე ყოფილიყო. გარეგნულად საქართველოს მეცნიერთა დიდმა უმრავლესობამ ათეიზმი თავის რწმენად გამოაცხადა, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც გულში კვლავ ატარებდნენ მართლმადიდებლობის რწმენას და უფლის სიყვარულს. მაგრამ ასეთი გაორებული ვითარება სულიერად მაინც ანგრევდა პიროვნებას, რადგან აჩვევდა კონფორმიზმს, თვალმაქცობას.

უფალთან ამ სისტემატურმა დაშორებამ ძალიან მალე საზოგადოებისათვის უკუშედეგი გამოიღო.

1. **ძალადობის კულტის დამკვიდრება**. საერთოდ, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა აღიარებს ძალადობას, როგორც ისტორიის დემიურგს, როგორც ისტორიის ლოკმოტივს. ქართველი ბოლშევიკების პირველი თაობის წარმომადგენლები, ისევე როგორც რუსი ბოლშევიკები, ძალადობას არ თვლიდნენ საჩოთირო საქმედ. ერთ-ერთი ცნობილი ქართველი კომუნისტი – საქართველოს კომპარტიის ლიდერი ნიშნისმოგებით აცხადებდა - „როდის აქეთ გახდა ძალადობა კომუნისტისათვის საჩოთირო საქმე?“[12]. საქმე ეხებოდა 1924 წლის ანტიბოლშევიკური აჯანყების შემდეგ განხორციელებულ რეპრესიებს საქართველოს თავადაზნაურობის წინააღმდეგ. როგორც დასტურდება აჯანყების ჩაქრობის პირველსავე დღეებში 1000-მდე თავადი და აზნაური ამოწყვიტეს – ეს იყო ქართველი არისტოკრატიის (ანუ ქართველი ერის ინტელექტუალური ელიტის) საუკეთესო ნაწილი[13].

კომუნისტები ამას არ დასჯერდნენ და სოფლის უღარიბესი გლეხობა მიუსიეს თავადებს, მათ სოფლებიდან დევნიდნენ, ქონებას ართმევდნენ, იყენებდნენ ჩაქოლვის მეთოდებს. მთელი საქართველო შეძრა სოფელ რუისში აზნაური ფანიაშვილების ოჯახის ფიზიკური განადგურების ფაქტმა, რაც ფანატიკოსმა კომკავშირლებმა და უღარიბესმა გლეხებმა ჩაიდინეს[14]. იმჟამად კომკავშირლებში ძალიან პოპულარული იყო ლოზუნგი „რკინის ფოცხებო, მთელი აზნაურობა დავფოცხოთ!“ ამგვარი იდეოლოგია ადამიანებში აყალიბებდა ძალადობის გამართლების ფსიქოლოგიას, რითიც საზოგადოებას უბიძგებდა მეექვსე მცნების „არა კაც-ჰკლას“ დარღვევისაკენ.

2. ძალადობასთან ერთად დამკვიდრდა და განვითარდა **მიყურადების, თვალთვალის პრაქტიკა.** „კომუნისტური პირდაპირობის სინდრომი“, რომელსაც საოცარი გულდასმით ნერგავდნენ, გულისხმობდა საკუთარ საყოფაცხოვრებო სივრცეში ყველა ანტიკომუნისტური, ანტისახელმწიფოებრივი ქმედების შემჩნევას, გამოაშკარავებას და შესაბამის სტრუქტურებში დასმენას. გავრცელდა ლოზუნგი „ყველა კომუნისტი - ჩეკისტი უნდა იყოს!“ ამ პრაქტიკამ, შეიძლება ითქვას, უდიდესი სამსახური გაუწია საბჭოთა სახელმწიფოს „კუდიანებზე ნადირობის“ დროს – 1937 წელს. ზოგჯერ ცოლი ქმარს ადევნებდა თვალს, ქმარი ცოლს, შვილი მამას. დასმენა არ ითვლებოდა სირცხვილად. ერთ-ერთი კომუნისტი წერდა ზემდგომ ინსტანციაში: „ჩემს მიერ საუბარში გამოაშკარავებულ იქნა კონტრრევოლუციონერი ვასილიევის გამოსვლები მუშათა დიდი ბელადის მიმართ, რის შესახებაც თქვენ მოგაწოდეთ წერილობითი მასალები. რაც შეეხება სიბრალულს კონტრრევოლუციონერი ვასილიევის მიმართ: არც ჰქონია და არც ექნება არასოდეს კონტრრევოლუციონერ ხალხის მტერს ჩემგან შებრალება“[15].

ყოველივე ეს იწვევდა ადამიანებში შიშს, უნდობლობას და ერთმანეთისაგან გაუცხოვებას. ხშირ შემთხვევაში პირადი ანგარიშსწორების მიზნით ადგილი ჰქონდა ყალბ ბრალდებებს, რითიც ირღვეოდა უფლის მეცხრე მცნება - „არა ცილი-სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა“.

3. **ტრადიციული ქართული ოჯახის** ნგრევა კომუნისტებმა თავიდანვე ენერგიულად დაიწყეს. ამის მიზეზი ის იყო, რომ ქართული ტრადიციული ოჯახი საუკუნეების მანძილზე ქრისტიანულ-მართლმადიდებელ ფასეულობებზე შენდებოდა და მის შინაგან სტრუქტურას, ურთიერთობას ოჯახის წევრებს შორის განსაზღვრავდა ქრისტიანული ფასეულობები, ქრისტიანული ზნეობა. საერთოდ მარქსიზმის თეორია უარყოფს ოჯახს, მიაჩნია კლასობრივი საზოგადოების წარმონაქმნად, რომელიც ამკვიდრებს კერძომესაკუთრულ ფსიქოლოგიას და ამიტომ აუცილელად უნდა დაინგრეს. ბავშვი ოჯახში კი არა, არამედ სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ ბაგა-ბაღებსა და ინტერნატებში უნდა იზრდებოდეს, რომ აღიზარდოს კომუნისტური საქმისადმი ერთგულ პიროვნებად. მხოლოდ ასე განთავისუფლდება ადამიანი ოჯახის მავნე, წვრილბურჟუაზიული ზეგავლენისაგან, რომელიც ეწინააღმდეგება კოლექტივისტურს და ნერგავს ინდივიდუალისტურ ტენდენციებს.

საქართველოში ოჯახის ნგრევის ერთიანი სისტემა 1923 წლისათვის უკვე მზად იყო (არსებობდა ყოვლისმომცველი გეგმა)[16], მაგრამ ის ვერ განხორციელდა ეკონომიკური პრობლემების გამო – საბჭოთა სახელმწიფოს არ შეეძლო იმჟამად მთლიანად თავის ხელში აეღო ბავშვის აღზრდის პროცესი და მხოლოდ სკოლის (დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი) სოციალიზაციით დაკმაყოფილდა. მართალია, ქართული ოჯახის სტრუქტურის შეცვლა ვერ მოხერხდა, მაგრამ საზოგადოების ზნეობრივმა დაკნინებამ ძლიერ შეარყია ოჯახური მთლიანობა და სიმტკიცე. ირღვეოდა მეხუთე მცნება - „პატივი-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილ გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა“.

4. **ქრისტიანული შრომითი ურთიერთობებისა და შრომითი კულტურის ტრადიციული ფორმების ნგრევა**. ქართული შრომითი კულტურა, როგორც ყველა ხალხში, მეტად ინდივიდუალურია და მთლიანად განისაზღვრება სამხრეთ კავკასიის რეგიონში კლიმატურ-გეოგრაფიული გარემოთი, ამ რეგიონში მცხოვრები ადამიანების მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკული გამოცდილებით და აგროკულტურული ტრადიციებით. საქართველოში, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, შრომითი ურთიერთობები, შრომითი ჩვეები, შრომითი ტრადიციები მთლიანად დაეფუძნა ქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებს და საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა ერთ მთლიან საწეს-ჩვეულებო სისტემად, რომელსაც ქართველი გლეხი აგროციკლის ყველა უმნიშვნელოვანეს ეტაპზე ასრულებდა: ეს იყო სპეციალური საწესჩვეულებო რიტუალები, რომლებშიც ეკლესიის მსახურები მონაწილეობდნენ, მოსავლის აღების, ღვინის დაწურვის და სხვა სამეურნეო საქმიანობისას სპეციალური საეკლესიო რიტუალის აღსრულება და ა.შ.

კოლექტიური მეურნეობის რუსული მოდელის ბრმად გადმოღებამ, მებრძოლმა ათეიზმა, რა თქმა უნდა, მთლიანად მოშალა ამ ტრადიციული შრომითი ურთიერთობების საფუძვლები, ქრისტიანული წეს-ჩვეულებების

ნაცვლად კოლექტიური მეურნეობის პრინციპები დაინერგა, რომელმაც დააკნინა და გააღარიბა ქართველი კაცის შრომითი ჩვევები. კერძო საკუთრების გაუქმებამ, ღვთისმოშიშობის დავიწყებამ გაამრავლა შრომაში მანამდე უცნობი მოვლენები: შრომითი პროცესის მიმრთ უპასუხისმგებლო დამოკიდეულება, უქნარობა, ზერელობა, შრომისნაყოფიერების შემცირება, დამზადებული პროდუქციის ფალსიფიცირება, კორუფცია და ა.შ. ამრიგად, დარღვეულია მეოთხე და მეშვიდე მცნება: „ექვს დღე იქმოდე“ და „არ იპარო“.

5. **ღმერთთან კავშირის გაწყვეტამ საქართველოში ზნეობრივი დეგრადაცია გამოიწვია**. ადამიანს აეკრძალა რა ეკლესიასთან ურთიერთობა, ის დარჩა მარტო ტოტალიტარულ სახელმწიფოსთან, რომელსაც მასზე მატერიალური და სულიერი ზემოქმედების უზარმაზარი არსენალი ჰქონდა და თან ამას საკმაოდ უნარიანად ახორციელდა. ქრისტიანული ფასეულობებისაგან განდგომამ გამოიწვია საზოგადოების დეზორიენტაცია, კორუფციის გავრცელება, მექრთამეობა, გულგრილობა ადამიანების პრობლემებისადმი, ბიუროკრატიის ყოვლადძლიერება, გულგატეხილობა, საზოგადოების გარკვეული ნაწილის დეკადენტური განწყობა და ა.შ.

ასეთ რთულ მორალურ-ფსიქოლოგიურ ვითარებაში სრულიად საქართველოს მოევლინა სულიერი მამა – კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, რომელიც 1977 წელს ავიდა საპატრიარქო ტახტზე და უკვე რამდენიმე ათეული წელია წინ უძღვის თავის მრევლს. მან თავიდანვე მიზნად დაისახა ქართული საზოგადოების მორალური გაჯანსაღება და ამ საქმეში უკვე მაშინ გარკვეულ შედეგებსაც მიაღწია. მიუხედავად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგობისა, საქართველოს პატრიარქი ყოველ ოთხშაბათს ხვდებოდა ახალგაზრდებს, გამოდიოდა ქადაგებით, ზრდიდა მათ ტრადიციულ ქრისტიანულ ფასეულობებეზე. პატრიარქმა ფაქტობრივად ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი უკვე მაშინ შემოაბრუნა ქრისტიანული ფასეულობებისაკენ.

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ არც მაშინ და არც დღეს პატრიარქი უკან არ იხევს და მუდამ ამხელს ქართულ საზოგადოებაში არსებულ ნაკლს, სახავს მისი გამოსწორების გეგმებსა და ამოცანებს. პატრიარქმა ამპარტავნება გამოაცხადა ქრისტიანი პიროვნების დეგრადაციის მნიშვნელოვან საფრთხედ და მოუწოდა მრევლს: „ამპარტავნება ეს არის უპირველესი, უდიდესი და უსაშინლესი ცოდვა, რომელსაც ყველა ადამიანში ჰქონდა და აქვს მეტ-ნაკლებად ფესვი გადგმული და სწორედ იგი არის მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი ღმერთთან ჩვენი მიახლოებისა... რა განაპიროებებს მის განსაკუთრებულობას? უპირველეს ყოვლისა ის, რომ იგი შობს ყველა სხვა სიბილწეს... უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ადამიანმა შეიძლება დაძლიოს ყველა ცოდვითი მიდრეკილება და მიხვდეს, რომ ეს თუ ის ვნება აღარ აწუხებს, მაგრამ ამას ვერასოდეს იტყვის ამპარტავნების შესახებ. მან ყველგან და ყოველთვის შეიძლება დაგვიგოს მახე და მსწრაფლ განაქარვოს წლების მანძილზე ჩვენი ღვაწლით მოპოვებული მადლი“[17].

ეს შეგონება დღეს ქართველების სულიერი გაჯანსაღებისათვის მიმართული მნიშვნელოვანი შეძახილია, რომლის რეალიზაცია წინ სწევს საქართველოს საზოგადოებას.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია დღეს უდიდეს ძალისხმევას ახმარს ქართველი ხალხის სულიერი გაჯანსაღების, ქრისტიანული ფასეულობების აღორძინების საქმეს.

დღეს საქართველო, დასავლეთის წამყვანი ქვეყნების მთავრობებისა და ხალხების დახმარებით, აშენებს ახალ, დემოკრატიულ სახელმწიფოს, სადაც პრიორიტეტები ენიჭება ევროპულ ფასეულობებს. მაგრამ საქართველოს მოსახლეობას ევროპული ფასეულობა ჭირდება მხოლოდ ქრისტიანული ევროპის ფასეულობები, რომელიც კი არ მოგვისპობს, არამედ პირიქით, გააღრმავებს და წარმოაჩენს ქართველი ერის ტრადიციულ ღირებულებებს.

თუმცა ისიც აშკარაა, რომ თვითონ ევროპის დემოკრატიული ფასეულობები, რომლებიც გარკვეულ ეტაპზე ძალიან დაშორდნენ ქრისტიანულ ფასეულოებებს, საქართველოში მოსახლეობის გარკვეულ შეშფოთებას იწვევენ.

როცა სახელმწიფოს კანონმდებლობა აკანონებს არატრადიციული ოჯახების შექმნას და უბედური ბავშვის ბედს ხელში უგდებს ვნებააშლილ, ეგზალტირებულ პიროვნებებს, რაც, ფაქტობრივად, ცოდვის ყველაზე დიდი გამოხატულებაა და აშკარად წინააღმდეგობაშია ბიბლიურ ფასეულობებთან, საქართველოს მოსახლეობა ამასაც გაგებით ვერ მოეკიდება – ეს ცოდვის დაკანონებას გულისხმობს. ასეთი მაგალითების მოტანა თანამედროვე ევროპის ცხოვრებიდან სხვაც ბევრი შეიძლება.

თავისუფლება, ქართული ტრადიციით, პასუხისმგებლობას გულისხმობს, რომელიც შორს არის თავაშვებულობისაგან, ყველაფრის დაშვებისაგან, ცოდვისაგან. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ უმცირესობათა უფლებებთან ერთად, არსებობენ უმრავლესობის უფლებებიც, რომ საზოგადოების სწორი განვითარება მხოლოდ ბალანსირების საფუძველზეა შესაძლებელი, სადაც უნდა იქნეს გათვალისწინებული ყველა მხარის მხოლოდ გონიერი უფლებები და არა ზნეობადამახინჯებული ადამიანების ახირებები.

მიგვაჩნია, რომ დიდი ევროპის მომავალი სწორედ იმაშია, რომ ის ჰარმონიულად შეახამებს ძველი წევრი სახელმწიფოების შეხედულებებსა და მოსაზრებებს ახლადშეძენილი მეგობრების ისტორიულ გამოცდილებასა და ტრადიციებთან და საერთო ძალისხმევით შეძლებს უფრო უკეთესი მერმისის შექმნას, ვიდრე დღეს გვაქვს.

ამრიგად, საქართველო ისტორიულად ქრისტიანული ცივილიზაციის ერთგული და თანმიმდევარი წევრი ქვეყანა იყო მუდამ. მისი კულტურა, ისტორია, ყოფა და პიროვნული სულისკვეთება მუდამ იყო გაჯერებული ქრისტიანობით, რაც ქართველების ეროვნული იდენტობის მთავარი ნიშანია. გარკვეულმა ისტორიულმა პირობებმა XIX-XX საუკუნეებში განაპირობა ქართველების დაშორება უფალთან, რამაც საზოგადოების სერიოზული

მეტარიალური და სულიერი დეგრადაცია გამოიწვია. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელობით და საქართველოს ხელისუფლების მცდელობით მიმდინარეობს ძალისხმევა ტრადიციული ქრისტიანული ფასეულობების აღდგენისა და საზოგადოებაში მათი მტკიცედ დამკვიდრების მიზნით. ქართველ ხალხს ასევე სურს გაითავისოს დასავლეთ ევროპული ფასეულობებიც, მაგრამ მხოლოდ ქრისტიანული მსოფლმხედველობით გაჯერებული, რაც შორს იქნება თავაშვებულობისა და თავისუფლების არაადეკვატური აღქმისაგან. ჩვენი აზრით, მხოლოდ ქრისტიანული სულიერი ფასეულობების საფუძველზე გახდება შესაძლებელი, რომ თავისუფალი ევროპის ხალხების დიდმა ოჯახმა, ერთობლივი ძალისხმევით, უფრო სამართლიანი და ხალხებისათვის უფრო ბედნიერი ყოფიერება შეექმნათ.

მადლობა ყურადღებისათვის.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ე. ჭელიეძე, ღვთისმშობლისადმი ქართლის წილხვდომობის შესახებ, „ლოგოსი“, 2014 წ. №8, გვ. 60.
2. ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე, თბ., 2019; დ. ბერძენიშვილი, წმინდა ანდრია მოციქულის ნაკვალევი საქართველოში, კრ„, ქრისტინობის 20 საუკუნე საქრთველოში“, თბ.,2004, გვ. 73-85; მისივე, ქართული ტრადიცია წმინდა ანდრია პირველწოდებულის შესახებ, „წმინდა ანდრია პირველწოდეულის გზით“ (კონფერენციის მასალები), ხულო, 2008, გვ. 11-12 და სხვ.
3. დასავლეთ ევროპაში ქეთევან დედოფლის შესახებ გამოქვეყენებული ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა პროფ. მ. ნაჭყებიამ, რისთვისაც მას უდიდეს მადლობას ვწირავთ.
4. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 440, აღ. 2, ს. 3, ფურც .55.
5. Р. Такер, Сталин, Путь к власти 1879-1929. М., 1991, с.223.

6. ილია ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 5, თბ., 1987, გვ. 262.
7. მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე),საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბ., 2009, გვ. 1099.
8. დიდნი საქმენი, თბ.,2011, გვ. 476.
9. მ. გეგუტიშვილი, ახალი საბჭოთა ტრადიციები საქართველოში, თბ., 1972, გვ. 48-49.
10. ГАСПИ РФ, ф.17, оп. 3, д. 426, с. 78.
11. Н.А. Бердяев. Истоки и смысл русского коммунизма, в книге: Б.А. Пашков, История России XX век,. М., 2000, с. 28.
12. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 2, ს. 9, ფურც. 215.
13. ГАСПИ РФ, ф.17, оп. 3, д. 426, с. 78.
14. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 285, აღ. 1, ს. 776, ფურც. 14-16.
15. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, II განყოფილება, ფ. 136, ს. 36, ფურც. 21.
16. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 300, აღ. 1, ს. 81, ფურც. 7.
17. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II, 2011 წლის საშობაო ეპისტოლე, გვ. 4-5.

Ш ოციალურ პოლიტ ისტ.
ფონდი არწერა საქმე ფურცელი
ბესცჰრეიბუნგ,